11 სექტემბერი მორბენლის საკავშირო დღეა

ბედნიერ სტარტებს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 175
(7486)

11
1983 წ.
სექტემბერი
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● ჩოგბურთი

დღეს ფინალშია

გუშინ თბილისის „დინამოს" კორტებზე სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ მესამე ადგილის მაძიებელნი: „ტრუდი" — „სპარტაკის" ქალთა და „ზენიტი" — „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდები. მიუხედავად იმისა, რომ „ტრუდის" ღირსებას იცავდნენ ისეთი გამოცდილი ჩოგბურთელები, როგორიც არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — მინსკელი ნატალია ბოროდინა (იგი საკავშირო კლასიფიკაციით მეორე ჩოგანია) და რიგელი ირინა შევჩენკო, ახალგაზრდა სპარტაკელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4.

ვაჟთა კოლექტივების მატჩში თავიდანვე დაწინაურდნენ ზენიტელები (3:0), მაგრამ მომდევნო ოთხი შეხვედრა მოიგეს „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა (4:3). წყვილთა ასპარეზობაში უფრო ძლიერი „ზენიტი" გამოდგა, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც ანგარიშით 5:4.

დღეს, დილის 10 საათიდან, გაიმართება ფინალური ბრძოლები „დინამოსა" და შეიარაღებული ძალების ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის — გამოვლინდებიან საკავშირო თასების ახალი მფლობელნი.

გ. ცხვირაშვილი.



ს უ რ ა თ ზ ე: გ. ზვერევი (ცსკა) ასპარეზობის დროს.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ჭადრაკი

პირველობა გაინაღდა

ნიკშიჩში (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა XIII ტურის შეხვედრები.

ამ დღეს კასპაროვმა დაამარცხა ტიმანი (ჰოლანდია) და პრაქტიკულად ვადამდე გაინაღდა I ადგილი. მას 10 ქულა აქვს. ლარსენი (დანია) დაუზავდა ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) და 8 ქულით II ადგილზეა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გლიგორიჩმა (იუგოსლავია) მოუგო ანდერსონს (შვეცია). ყაიმზე შეთანხმდნენ სპასკი — პორტიში (უნგრეთი), ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — საქსი (უნგრეთი), ტალი — პეტროსიანი და მაილს (ინგლისი) — სეირავანი (აშშ). თავისუფალი იყო ივანოვიჩი (იუგოსლავია).

იქნებ თქვენი შვილი...

ჰო, იქნებ სწორედ თქვენი შვილია მომავალი შავლაყაძე, სანეევი, დუმბაძე? ქართულ მძლეოსნობას დღეს სწორედ ასეთები სჭირდება და თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სასპორტო სკოლის ინიციატივაც — მოაწყოს ნიჭიერი ბავშვების საყოველთაო ღია შეჯიბრება-შერჩევა — აქეთ არის მიმართული.

ეს მიმართვაც არის, თხოვნაც, მოწოდებაც:

ყველა მშობელს, ყველა მძლეოსანს, სპორტის ამ სახეობის ყველა სპეციალისტს, მძლეოსნობის ყველა მოყვარულს, ყველა თბილისელს, ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული სპორტი, ქართული მძლეოსნობა, მისი მომავალი, თხოვნით მივმართავთ, ყურადღებით, გულისხმიერად მოეკიდონ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას, ღონისძიებას, რომელიც ისევ ჩვენი ბავშვების, ჩვენი მომავლის საკეთილდღეოდ, ჯანმრთელობისათვის და ქართული სპორტის სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად არის მოწოდებული.

მამებო, ქართული სპორტის გულშემატკივრებო — მოჰკიდეთ ხელი თქვენს შვილებს, მეზობლებს, უმცროს ძმებსა და დებს, მოიყვანეთ სტადიონებზე. ვინ იცის, იქნებ მართლაც მათ ხვდეთ წილად ჩვენი სპორტის მედროშეობა!

შეჯიბრება-შერჩევა ყველა რაიონისთვის ცალკე წინასწარ დადგენილ დროსა და ადგილზე ეწყობა.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სასპორტო სკოლა ატარებს პერსპექტიული ბავშვების შესარჩევ შეჯიბრებას მძლეოსნობაში

13-14-15 სექტემბერი. თბილისის ლენინის სახელობის რაიონი. ამავე რაიონის სპორტსკოლის სტადიონი (თემქის დასახლებაში).

19-20 სექტემბერი. კალინინის რაიონი. „ლოკომოტივის" სტადიონი.

19-20 სექტემბერი. გლდანის რაიონი. „სინათლის" სტადიონი (ავჭალის გზატკეცილზე).

21-22-23 სექტემბერი. 1 მაისის რაიონი. ლენინის სახელობის სტადიონი (ორჯონიკიძის ქუჩაზე).

22-23 სექტემბერი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონი. „ლოკომოტივის" სტადიონი (ამავე დღეებში და აქვე ჩატარდება შესარჩევი შეჯიბრება საბურთალოს რაიონის ბავშვებისთვის).

24-25-26-27 სექტემბერი. ოქტომბრის რაიონი. ლენინის სახ. სტადიონი.

25-26 სექტემბერი. კიროვის რაიონი. 153-ე საშუალო სკოლის ტერიტორია.

28-29-30 სექტემბერი. საქარხნო რაიონი. სტადიონი „პიონერი".

შესარჩევი შეჯიბრებები ყველა ზემოხსენებულ სტადიონზე დაიწყება დილით 10 საათზე, სალამოთი 16 საათზე.

სასურველია, რომ ამ შეჯიბრებებზე გამოცხადდნენ ძირითადად IV-V კლასის მოსწავლეები როგორც ბიჭები, ისე გოგონები. რა თქმა უნდა, შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას შედარებით უმცროსებიც და უფროსებიც. მწვრთნელები მათგანაც შეარჩევენ პერსპექტიულ, კარგი მონაცემების მქონე ბავშვებს.

მწვრთნელების მიერ სპორტული ჯგუფებისთვის შერჩეული ბავშვები დაჯილდოვდებიან თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სიგელებით.







შეხვედრები შავ ზღვაზე

ტუაპსე (საკუთ. კორ.). შავი ზღვის სანაპიროზე საკავშირო პიონერთა ბანაკ „ორლიონოკში" გრძელდება VII საკავშირო შეკრება — რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ბავშვთა სპორტული თამაშების „იმედის სტარტებში" გამარჯვებული კლასების შეკრება. ბავშვები დადიან სკოლაში, ეჯიბრებიან ერთმანეთს, ხვდებიან საინტერესო ადამიანებს, ეცნობიან „მართვეს" ტრადიციებს, სწავლობენ პიონერულ სიმღერებს, აწყობენ კოცონს და „ცისფერ ეკრანს", გადიან ზღვაში კატარღებითა და ნავებით, ბანაობენ, ძალ-ღონეს იკრებენ.

ძნელია იპოვო უფრო ცნობისმოყვარე და დაინტერესებული აუდიტორია, ვიდრე ეს — საბავშვო, რომლის წინაშე გამოდიან ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები — კოსმონავტი მფრინავი, სსრ კავშირის გმირი ანატოლი ბერეგოვოი, ოლიმპიური ჩემპიონები, მძლეოსნები ლიუდმილა ბრაგინა და პეტრე ბოლოტნიკოვი, ტანმოვარჯიშე ელენა დავიდოვა, ოლიმპიადის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი, მოცურავე ვლადიმერ ბურე, ევროპის ჩემპიონი სროლაში, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თამარა ლომოვა. ბავშვების წინაშე გამოვიდა მოსკოვის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ფილმის „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ" ოპერატორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე გუტმანი.

ნორჩების შეჯიბრებები გრძელდება. პროგრამის ოთხი სახეობის შემდეგ (ტანვარჯიში, მასობრივი სპორტული ტანვარჯიშული გამოსვლები, რბენა 60 მეტრზე, ბურთის ტყორცნა) საქალაქო სკოლებს შორის ლიდერობენ მოსკოვის 653-ე სკოლის მეექვსეკლასელები და ქალაქ ვლადიმირის 36-ე სკოლის მეექვსეკლასელები. დაბების სკოლებში წინ არის კამჩატკის ოლქის ელიზოვოს დასახლების მე-7 სკოლის მეექვსე კლასი, ხოლო სოფლის სკოლებს შორის — ბელგოროდის ოლქის სოფელ მაისკოეს მეშვიდეკლასელები.

●

მ ო რ ბ ე ნ ლ ი ს დ ღ ე ს მ ი ე ძ ღ ვ ნ ა

სპორტსაზოგადოება „განთიადის" ქუთაისის საქალაქო საბჭომ ამას წინათ ჩაატარა მორბენლის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 ფიზკულტურული კოლექტივის 1525 მუშა-მოსამსახურე. კარგად იასპარეზეს სპორტკლუბ „კოლხიდას", კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების, ტრიკოტაჟის ფაბრიკის, სამთო ტექნიკუმისა და სატრაქტორო ქარხნის კოლექტივებმა.

პარაშუტისტთა ჩემპიონატი

ბრონო. მხოლოდ უკანასკნელი ჯგუფური ნახტომები შეასრულეს გუნდებმა — სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადის გამარჯვებულებმა საპარაშუტო სპორტში. ქალთა შორის სამი ვარჯიში (ინდივიდუალური და ჯგუფური ნახტომები) — აკრობატული ფიგურების კომპლექსი უნაკლოდ შეასრულა და ზუსტად დაეშვა მიწაზე უკრაინელ სპორტსმენ ქალთა ჯგუფი. II ადგილზე არიან მოსკოველი, III — რსფსრ-ს პარაშუტისტები.

ვაჟთა შორის დამაჯერებლად გაიმარჯვა რსფსრ-ს ნაკრებმა. II ადგილზეა მოლდავეთის, III — მოსკოვის გუნდი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ რსფსრ-ს პარაშუტისტები. ვერცხლის მედლები მოიპოვეს მოსკოველმა, ბრინჯაოსი — უკრაინელმა სპორტსმენებმა.

— სპარტაკიადის სტარტებმა გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა გუნდი კარგად მოემზადა შეჯიბრებისათვის, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ გ. სერებრენიკოვმა, — საკმარისია ითქვას, რომ წლეულს სპარტაკიადისთვის მზადებისას ბევრმა სპორტსმენმა 400-500 ნახტომი შეასრულა.

სპორტი მარტო აწმყო არ არის; იგი წარსულიცაა და მომავალიც. ამიტომ სპორტზე საუბრისას ერთდროულად სამივე დროის ერთობას, განუყრელ ურთიერთკავშირს ვგულისხმობთ. ქართული სპორტის პირამიდას მტკიცე საფუძველი აქვს და წარსულის დიდებულ ტრადიციებზეა ნაგებ-ნაშენი. ამ წარსულს თავიანთი მარჯვენისა და გონების ძალით ქმნიდნენ უბრწყინვალესი თაობები ქართული სპორტისა, რომელმაც თავისი წიაღიდან ჭეშმარიტად ექსტრა-კლასის ოსტატთა მთელი თანავარსკვლავედი წარმოაჩინა. ახალ თაობას, თანამედროვე ქართული სპორტის წარმომადგენლებს, დიახაც რომ დიდად სჭირდებათ ცოდნა იმისა, რანი იყვნენ მათი წინამორბედნი, ვინ ქმნიდა ქართული სპორტის ტრადიციებს, ვის გაჰქონდა ჩვენი სპორტის დიდება დიდ სარბიელზე.

ყოველივე ამას უდიდესი პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ახალი რუბრიკა „**აწმყო, შობილი წარსულისაგან**“, რომელსაც ჩვენი თხოვნით გაუძღვება რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, სპორტის ოსტატი **არჩილ გოგელია**, იქნება თავისებური ხიდი ქართული სპორტის გუშინდელ და დღევანდელ დღეს შორის.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

რობერტ შავლაყაძე

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს — ძალაუნებურად ამეკვიატა ეს სიტყვები, როცა ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკაში“ დასტამბულ ერთ მილოცვას გავეცანი. იგი ეძღვნებოდა ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ლენინის ორდენის კავალერს რობერტ შავლაყაძეს. ორნაირი გრძნობა განვიცადე: ერთი სიხარულისა იმის გამო, რომ ოლიმპიური ჩემპიონი თავისი დაბადების 50 წლისთავზე ავტორიტეტულმა ჟურნალმა პატივისცემით მოიხსენია და კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველებს მისი სპორტული გმირობა; მეორე, უსიამო გრძნობა კი იმან წარმოშვა, რომ ჩვენთვის ჩვენივე სახელოვანი სპორტსმენის იუბილე შეუმჩნეველი დარჩა და სიტყვითაც კი არ გვიხსენებია არც პრესაში, არც მეგობრულ წრეში და არც საჯაროდ.

* * *

ოლიმპიური ჩემპიონები შემთხვევით არასოდეს ხდებიან. თვით გამარჯვების ფაქტი მხოლოდ გვირგვინია მრავალწლიანი ქანცგამცლელი წვრთნა-ვარჯიშისა და ტიტანური შრომისა. ამ გამარჯვებით რჩებიან სპორტსმენები ისტორიაში.

რომის ოლიმპიადამ წარმოაჩინა თვისებრივად ახალი სპორტსმენი, რომელმაც მოიპოვა არა უბრალოდ გამარჯვება მსოფლიოს უძლიერეს მხტომელებთან უმძაფრეს ჭიდილში, არამედ პრაქტიკულად შეიტანა წვლილი სპორტული ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის გარკვევაშიც.

რამ გამოჭედა რომის ოლიმპიადის ოქროს მედალი სიმაღლეზე ხტომაში?

ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა: ეს არის საკუთარ თავზე, პირისპირ შეხვედრისას უფრო ძლიერ მეტოქეებზე გამარჯვების მოპოვების უნარი. ჩვენ ყველამ ვიცით, რა დიდი ზღვარია ვარჯიშებსა და შეჯიბრებებზე ნაჩვენებ შედეგებს შორის. ვარჯიში თავისებური იდილიაა, როცა სპორტსმენი ვერ ხედავს უშუალო მეტოქეებს და მშვიდად აკეთებს თავის საქმეს. აქ გამორიცხულია ის სტრესი და ნერვიულობა, რომელიც ჩვეულებრივ ახლავს ნებისმიერი პრინციპული შეჯიბრების პროცესს. ვარჯიშზე ჯერ არავის დაუკარგავს გამარჯვება და მედალი, შეჯიბრებებზე კი სპორტსმენს მოეთხოვება დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთში უჩვენოს ხშირად წლების მანძილზე გაწეული შრომის ნაყოფი. განსაკუთრებით იზრდება სპორტსმენთა დაძაბულობა დიდი მასშტაბის ასპარეზობაში. ეს ნერვიულობა ზედმიწევნით იგრძნობა ოლიმპიურ თამაშებში.

რომის ოლიმპიადის დღეებში სიმაღლეზე მხტომელთა ტურნირის ფავორიტად რამდენიმე სპორტსმენს ასახელებდნენ. პროგნოზებში ყველაზე მოკრძალებული ადგილი ჰქონდა მიჩენილი რობერტ შავლაყაძეს. თვით შეჯიბრების პროცესი კი იმდენად შეუპოვარი და დაძაბული გამოდგა, რომ ყველას, მათ შორის მონაწილეებსაც, დაავიწყდათ თავიანთი პირადი შედეგები და ბრძოლამ თითქმის მთლიანად ფსიქოლოგიის, ტაქტიკური პაექრობის სფეროში გადაინაცვლა. ამ დაუვიწყარი ასპარეზობის ისტორიამ შემოგვინახა დამაჯერებელი სურათი იმისა, როგორ იმარჯვებს სპორტული თვალსაზრისით უფრო ძლიერ მეტოქეზე მიზანსწრაფული და მტკიცე ხასიათი. განა საგულისხმო არ არის, რომ რობერტ შავლაყაძემ რიგრიგობით გატეხა მოწინააღმდეგეების რწმენა და უკეთესი ცდების მეოხებით გაიმარჯვა. ბოლო ნახტომი მხოლოდ მისი უშუალო კონკურენტის ვალერი ბრუმელის შედეგის ტოლფასი იყო, მაგრამ მან ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსით მოიპოვა უპირატესობა, რომელიც უფრო ძლიერი და მტკიცე ხასიათით მიიღწევა. ვიმეორებ, ეს იყო ორმაგი გამარჯვება — სპორტული და ფსიქოლოგიური.

სიმამაცე: მეტოქეებს ერთმანეთისა ეშინოდათ, შავლაყაძეს არ ეშინოდა არც მოწინააღმდეგეების, არც სიმაღლის, არც უცხო მაყურებლის, არც სპეციფიკური პირობებისა. შეჯიბრებაში გამოჩნდა, რომ მას აშკარა უპირატესობა ჰქონდა იმ კომპონენტში, რომელიც თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი კლასის სპორტსმენთა შორის წინ აყენებს უფრო გაბედულსა და მამაცს. სხვათა შორის, ეს მოგვიანებით, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, ერთხმად აღიარეს მისმა მეტოქეებმა. მათ ერთი წუთითაც არ შეპარვიათ ეჭვი, რომ გაიმარჯვა ჭეშმარიტად ღირსეულმა და უძლიერესმა კონკრეტულ სიტუაციაში.

ტაქტიკური აზროვნება: ტურნირისწინა სიტუაციამ და თვით მისმა დასაწყისმა რობერტს ასპარეზობის ახალი ტაქტიკური გეგმა უკარნახა. თავდაპირველად მას განზრახული ჰქონდა მეტოქეთა მსგავსად შეჯიბრება დაეწყო 195 სანტიმეტრიდან, მაგრამ შეჯიბრების დროს მან მოულოდნელად შეცვალა პირვანდელი ჩანაფიქრი და 2 მეტრი სიმაღლით დაიწყო. ამ გადაწყვეტილებამ, რომელიც ცხადია, ერთგვარი რისკის ელემენტსაც გულისხმობდა, მას თავიდანვე ტაქტიკური უპირატესობა მოუტანა. იგი დამაჯერებლად, პირველივე ცდიდან, სძლევდა სხვადასხვა სიმაღლეს. მისთვის სარეკორდო სიმაღლე 214 სანტიმეტრი შავლაყაძეს ერთბაშად „დანებდა“. თომასი ამას არ მოელოდა. მან იცოდა, რომ შეჯიბრებამდე ჩვენი სპორტსმენის საუკეთესო შედეგი 213 სანტიმეტრი იყო. სწორედ ამიტომაც გამოტოვა მან 212 სანტიმეტრი სიმაღლე. მერე კი, როცა მოულოდნელად მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა, გაჭირვებით, მეორე ცდით აიღო 214 სანტიმეტრი. ასე დაწინაურდა შავლაყაძე. მომდევნო სიმაღლე 2 მეტრი და 16 სანტიმეტრი ქართველმა სპორტსმენმა კვლავ პირველი ცდით დაძლია. წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ეს შთაგონებული ნახტომი უმძაფრესი შეჯიბრების წუთებში ამერიკელ მხტომელზე. იგი ემსხვერპლა რობერტ შავლაყაძესთან ტაქტიკურ ბრძოლას და საბოლოოდ გატყდა, 214 სანტიმეტრ სიმაღლეზე „გაიყინა“. ასე გახდა რობერტ შავლაყაძე პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში.

გამოცდილება: რობერტი რომის ოლიმპიადაზე 27 წლის გამოცდილ, დაბრძენებულ სპორტსმენად წარუდგა მაყურებლებს. 27 წელი ცოტა არ არის სიმაღლეზე მხტომელისათვის. მისი კონკურენტები უფრო ახალგაზრდებიც იყვნენ და შესაბამისად გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ. მით უმეტეს, მათი შედეგებიც უკეთესი იყო. თომასი — 220 სმ; ბრუმელი — 217 სმ., ბოლშოვი — 215 სმ. მაგრამ გამოცდილება თავისთავად ის კომპენსაციაა, რომელიც სპორტსმენს ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს ახალგაზრდა მეტოქეებთან შედარებით. თუ რას ნიშნავს გამოცდილება, ამის შესახებ კარგად ამბობს ბრუმელი. იგი წერს: რობერტ შავლაყაძემ ისევ პირველი ცდიდანვე დაძლია 216 სანტიმეტრი! ეს რაღაც სასწაულად მეჩვენა! მოგვიანებით მეც ვისწავლე შეჯიბრების პროცესში რვიდან ჩვიდმეტ სანტიმეტრამდე პირადი შედეგის გაუმჯობესება. მაგრამ მაშინ, რომის ოლიმპიადაზე, ეს შეუძლებლად მესახებოდა. გულწრფელად არ მესმოდა, მაინც რით შეიძლება აბსოლუტურად საუკეთესო პირადი შედეგის გაუმჯობესება დაძაბული ასპარეზობის მიმდინარეობისას. მოგვიანებით მივხვდი: გამოცდილებით!.. უზარმაზარმა გამოცდილებამ და დიდმა გონიერებამ რობერტ შავლაყაძეს საშუალება მისცა სწორად გაენაწილებინა თავისი ძალები და სწორედ შეჯიბრების ფინალურ ნაწილში მაქსიმალურად გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობანი. ამ უნარს იგი სრულყოფილად ფლობდა. ერთი სიტყვით, გამოცდილება აღმოჩნდა ის ძირითადი ფაქტორი, რომლითაც რობერტმა სწორად გაიაზრა ასპარეზობა პირველი ნახტომიდან ბოლო, ოქროს ნახტომამდე და ამ კომპონენტშიც დაჯაბნა მეტოქეები.

ლიდერი: შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ რობერტ შავლაყაძე რომის ოლიმპიადამდეც საბჭოთა მხტომელთა აშკარად გამოკვეთილი ლიდერი იყო. სპორტში აუცილებელი არ არის, ლიდერი ყველაზე უკეთეს შედეგს აღწევდეს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება გუნდურ თამაშებში, მაგრამ თვით ინდივიდუალურ სახეობებშიც რელიეფურად წარმოჩნდება ხოლმე. ლიდერს გამოცდილებასთან ერთად უნდა ჰქონდეს ახალგაზრდა კოლეგების დარაზმვის, გაძღოლის, საჭირო დროს ტაქტიანი დარიგებისა და მფარველობის უნარი. დალხინების წუთებში მისი როლი ერთგვარად ფერმკრთალდება და ლიდერი სხვებში ითქვიფება. სამაგიეროდ, დაძაბულობის, გაჭირვების ჟამს მისი როლი გუნდშიც და სპორტსმენთა შორისაც უკიდურესად იზრდება. თუ გუნდს ან ინდივიდუალური სპორტსმენების ჯგუფს ლიდერი არ ჰყავს ან მისი როლი შესუსტებულია, ეს უარყოფითად აისახება საბოლოო შედეგებზე, თუნდაც შეჯიბრების პროცესში ცალკეული გამარჯვებებიც იქნეს მოპოვებული.

რობერტი, ახალგაზრდა კოლეგებისგან განსხვავებით, არ მოექცა ფენომენალური თომასის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტყვეობაში; არადა, საკუთარი მსოფლიო რეკორდით გალაღებული თომასი ოლიმპიადისწინა ვარჯიშზე, საგანგებოდ მეტოქეების გასაოგნებლად, იოლად ძლევდა სარეკორდო სიმაღლეებს, ხოლო მისი მწვრთნელი განგებ ხმამაღლა აცხადებდა შედეგებს: 2 და 10! 2 და 15! ამ ფსიქოლოგიურმა შოუმ საგონებელში ჩააგდო ახალგაზრდა საბჭოთა მხტომელები ბრუმელი და ბოლშოვი. როგორ არ ეცადა რობერტი დაემშვიდებინა ისინი და დაკარგული რწმენა დაებრუნებინა! ბოლოს მან მაინც მიაღწია მიზანს. შეჯიბრების პროცესში კი, როცა თომასმა კვლავ მიიტანა ფსიქოლოგიური იერიში ჩვენს სპორტსმენებზე, იგი წააწყდა შავლაყაძის მტკიცე წინააღმდეგობას და ბოლოს და ბოლოს მასთან კონკურენციას ველარ გაუძლო. იყო წუთები, როცა რობერტს აღარ შეეძლო სიტყვით კოლეგების გამხნევება და მხოლოდ პირადი მაგალითით უნდა ჩაენერგა მათთვის ბრძოლის ჟინი.

შესაძლოა, შავლაყაძის გამარჯვება იმითაც იყო განპირობებული, რომ თავისი ერთგვარად ნირწამხდარი თანაგუნდელების გასამხნევებლად მას, როგორც ლიდერს, სისუსტის გამოჩენის უფლება აღარ ჰქონდა და საკუთარ თავს მხოლოდ მაქსიმალური და ზემაქსიმალური ამოცანების გადაწყვეტა დაუსახა მიზნად. კონკრეტულ ვითარებაში ეს მხოლოდ ლიდერის თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო. რა მოხდებოდა, შავლაყაძე ოლიმპიადაზე რომ არ გამოსულიყო, არავინ უწყის, მაგრამ საბჭოთა მხტომელების გამარჯვება თუ შეუძლებელი არა, ძალზე საეჭვო იქნებოდა. აი, რა წერია გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტის“ სერიით გამოცემულ წიგნში „დინამოელები — ოლიმპიადის გმირები“: რობერტს ესმოდა, რომ ამერიკელ მხტომელთან ბრძოლაში ამხანაგები უნდა შთაეგონებინა მხოლოდ თავისი პირადი მაგალითით და არა სიტყვიერი რჩევა-დარიგებებით. ძირითადი ფინალური შეჯიბრების სტარტიდანვე შავლაყაძემ საკუთარ თავსაც კი აჯობა მოძრაობის სიზუსტით და ნახტომების დამაჯერებელი შესრულებით. მისი რწმენა გადაედო თანაგუნდელებსაც და მალე შეჯიბრებას შემორჩა სამი საბჭოთა და ერთი ამერიკელი სპორტსმენი. უფროსი მეგობრის წარმატებით ფრთაშესხმული ბრუმელიც მეორე ცდით იღებს 216 სანტიმეტრ სიმაღლეს, თომასი კი განიარაღებულია. იგი მესამე ადგილზე რჩება.

კეთილშობილება: ზოგჯერ ლიდერი მარცხდება, მაგრამ სამაგიეროდ მისი დახმარებით იმარჯვებს თანაგუნდელი. ასეა სპორტში: ეგოიზმი უცხოა ჭეშმარიტი ლიდერისათვის და ამიტომ, თუკი მსგავსი რამ მაყურებელმა შეამჩნია, იგი შეუბრალებელი ხდება თავისი საყვარელი კერპის მიმართ. ჩვენ ვიცით რამდენიმე მაგალითი, როცა აღიარებულ ლიდერს ეგოისტური მოსაზრებებით სულმოკლეობა გამოუჩენია და გუნდი გაჭირვების ჟამს მიუტოვებია, თუმცა, შეეძლო მისთვის დიდი დახმარების გაწევა. შავლაყაძის ბუნება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ასეთ ეგოისტურ პრინციპს, რაც მარტოოდენ რომის ოლიმპიადაზე როდი გამომჟღავნდა. ნებისმიერ შეჯიბრებაში, სადაც ლიდერობა ჰქონდა დაკისრებული, იგი ზრუნავდა თანაგუნდელების ინტერესებისათვის. ასე იყო მაგალითად, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე. სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო რობერტი გამოეთიშა ოქროს მედლისთვის ბრძოლას, თუმცა კვლავ დაადასტურა უმაღლესი კლასი. შექმნილ ვითარებაში ბრუმელი საბჭოთა სპორტსმენთაგან ჩემპიონობის ყველაზე ნაღდი კანდიდატი იყო, მაგრამ ემოციური სპორტსმენი ისევე როგორც წინა ოლიმპიადაზე, ძალიან ღელავდა, საკუთარი ძალების რწმენას კარგავდა, მით უმეტეს, რომ იგი არ იყო საუკეთესო ფორმაში. საკვალიფიკაციო ტურნირში მან მოულოდნელად ორჯერ ჩამოაგდო 209 სანტიმეტრზე გადებული თამასა. ახლა თვით ბრუმელს დავუგდოთ ყური:

მიახლოვდება რობერტ შავლაყაძე და მეუბნება:

— ხომ არ გადაირიე? ეს ხომ მხოლოდ 203 სანტიმეტრია. ვდუმვარ.

— 203.. — იმეორებს იგი. — გესმის 203! ამ სიმაღლეს, თუ მოინდომე, ადგილიდანაც დასძლევ.

კვლავ ვერ აღვიქვამ მის სიტყვებს, იმ წუთებში რაღაცნაირად გამოვშტერდი. თითქოს გონებაც დამეხშო, გრძნობებიც, კუნთები გამიხევდა...

— 203! — კვლავ ჩამჩიჩინებს შავლაყაძე — ძალა მოიკრიბე! ამას ნახტომიც არ სჭირდება. შენ მარტო იმაზე იფიქრე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ 203 სანტიმეტრია და თამასას თავისით გადაევლები.

ბრუმელმა მართლაც დასძლია ეს მინიმალური სიმაღლე, მაგრამ იმავე შეჯიბრებაში ჩემპიონობის კანდიდატს კვლავ დაეწყო მძაფრი კრიზისი, ამჯერად 214 სანტიმეტრ სიმაღლეზე. ორჯერ ჩამოაგდო მან თამასა. ახლა ისევ ბრუმელს მოვუსმინოთ:

და ისევ უზარმაზარი მადლობა რობერტს. იგი აჩრდილივით დამყვებოდა და მამხნევებდა მესამე ცდის წინ. ამ ოლიმპიურ თამაშებზე რობერტ შავლაყაძე გრძნობდა, რომ ჩვენი სამეულიდან გამარჯვება საბოლოოდ მე შემეძლო, საკუთარ თავს კი ჩემი დახმარება დააკისრა. იგი მეუბნებოდა:

შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია ამ ოლიმპიადის მოგება, მე კი არა, მე ჩემი უკვე გავაკეთე... გამხნევდი!

ზემოთ ვამბობდი, შესანიშნავი მხტომელი და ჭეშმარიტი მებრძოლი რობერტ შავლაყაძე მუდამ მზად იყო დახმარებოდა მეტოქეებს. ამ მომენტში კი მისთვის მოწინააღმდეგეც კი არა, იმედი ვიყავი... ეს დიდებული ადამიანი ჩემს გამარჯვებას საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევდა. მე გადავხტი. თვით რობერტმაც დაძლია ეს სიმაღლე.

საბოლოოდ ბრუმელმა გაიმარჯვა შედეგით 218 სანტიმეტრი. „წარმატება პირველმა მომილოცა რობერტ შავლაყაძემ — წერს ბრუმელი, — იგი სულით ხორცამდე შეძრული და გახარებული იყო“.

კეთილშობილების უმაღლესი გამოხატულებაა სხვისი სიხარულით გახარება, მეგობრის დახმარება, თანადგომა საკუთარი ინტერესების საზიანოდაც კი, მასთან ერთად სიძნელეების დაძლევა და გამარჯვებით მოგვრილი აღტაცების გულწრფელად გაზიარება. ხშირად გვაკლია სპორტშიც და ცხოვრებაშიც ეს თვისება. არადა, როგორ ამშვენებს და ალამაზებს იგი ადამიანს..

აი, მაგალითად, რა ათქმევინა ბრუმელს თავის ცნობილ წიგნში „სიმაღლე“ შავლაყაძის კეთილშობილებამ: მე უსაზღვროდ ვემადლიერები შესანიშნავ სპორტსმენს, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რობერტ შავლაყაძეს... ეს იყო დიდებული მებრძოლი, მაგრამ უფრო დიადი თავისი კეთილშობილებით. ამ მხრივ იგი ჩემთვის სამაგალითო ადამიანია.

* * *

შავლაყაძის სპორტული ბიოგრაფია ზოგს მხოლოდ რომის ოლიმპიადის მიხედვით წარმოუდგენია. ეს შეხედულება, ცხადია, უსაფუძვლოა. ოლიმპიური ჩემპიონები ციდან არ ცვივიან: შავლაყაძემ ოლიმპიადამდეც დაუმტკიცა სპორტულ სამყაროს, რომ იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი და სიმაღლეზე მხტომელია. ოღონდ მისმა რომაულმა ტრიუმფმა სხვა ყველა მიღწევა დაჩრდილა. მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი რომ არ გამხდარიყო, შავლაყაძის სახელი მაინც ჩაიწერებოდა მძლეოსნობის ისტორიაში. ჯერ კიდევ 1958 წელს თბილისში გამართულ საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში მან უჩვენა საუკეთესო შედეგი — 209 სანტიმეტრი — და პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატში იგი შედეგით 211 სმ II ადგილზე გავიდა, ვერცხლის მედალი მოიპოვა 1960 წელს ანალოგიურ შეჯიბრებაში. ოლიმპიადისწინა ასპარეზობებიდან მისი ყველაზე დიდი მიღწევა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ფილადელფიის მატჩში გამარჯვება 1959 წელს. ამ ტურნირში მან აჯობა მსოფლიო კლასის სიმაღლეზე მხტომელებს უილიამსს, დიუმასს და თანაგუნდელ კაშკაროვს. იმავე წელს იგი იმარჯვებს მოსკოვში გამართულ სსრკ—გფრ-ის მძლეოსანთა მატჩშიც.

ყოველივე ეს ხდება ოლიმპიადის წინ. რაც შეეხება ოლიმპიადის შემდგომ პერიოდს, შავლაყაძე აქაც მოწოდების სიმაღლეზეა. ტოკიოს ოლიმპიადის წინ, 1964 წელს მან ქვეყნის ჩემპიონატში დაამარცხა იმხანად უკვე მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენი ვალერი ბრუმელი და ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო წოდებას საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

იგი მარად სპორტის ერთგული იყო და ასეთად დარჩა დღემდე. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ (ავადმყოფობის მიუხედავად, ამ ასპარეზობაში მან მაინც დაძლია დიდოსტატური სიმაღლე 215 სანტიმეტრი და მეხუთე ადგილი დაიკავა) შავლაყაძე დაემშვიდობა სპორტულ სარბიელს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი მწვრთნელი გახდა და სხვადასხვა დროს მუშაობდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სიმაღლეზე მხტომელთა გუნდების უფროს მწვრთნელად, ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობისა და მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლების დირექტორად. ამჟამად რობერტ შავლაყაძე ხელმძღვანელობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრას.

ყველაზე დიდი ბედნიერება კი მისთვის ჩინებულად აღზრდილი შვილებია. უფროსმა ქალიშვილმა როლამ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ასევე წარჩინებით სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო უმცროსი — ნატო —წელს გახდა სტუდენტი.

ხუთი ათეული წლის მანძილზე მან ბევრის გაკეთება მოასწრო. მაგრამ ჩვენთვისაც და შთამომავლობისთვისაც იგი, უწინარეს ყოვლისა იქნება რომის ოლიმპიადის ტრიუმფატორი, ერთადერთი მძლეოსანი ქართველთაგან, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 30-ე ტურის კალენდარული შეხვედრები:

„დნეპრი“ — „ჟალგირისი“ 3:1

„ნისტრუ“ — ცსკა 1:2

„ჩერნომორეცი“ — „ ტორპედო“ მ. 2:3

„სპარტაკი“ — „მეტალისტი“ 1:0

„ზენიტი“ — „არარატი“ 0:0

ქუთაისის ტორპედოელები დღეს ტაშკენტში ხვდებიან „ფახთაქორს“. ამ მატჩის რადიორეპორტაჟი დაიწყება 18 საათსა და 30 წუთიდან, ხოლო ხვალ 21 საათსა და 05 წუთიდან ტელევიზიით ვიხილავთ II ტაიმის ვიდეოჩანაწერს.

I ლიგა

9 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 32-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ ზაპოროჟიეში შეხვდა ადგილობრივ „მეტალურგს“ და მარცხი განიცადა ანგარიშით 1:4.

ტურის სხვა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1, ასკ — „კარპატი“ (ლვოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:2, „დნეპრი“ (მოგილიოვი) — „დინამო“ (კიროვი) 2:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 2:2, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:2, კოლოსი“ (ნიკოპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„ქაირათი“	31	17	9	5	51—28	43
ასკ რ.	30	16	10	4	52—24	42
„კოლო.“	31	14	12	5	52—30	40
„როტ.“	31	17	4	10	45—32	38
„ფაკ.“	31	13	11	7	33—22	37
„მეტ.“	31	14	8	9	46—31	36
„ყუბ.“	31	13	9	9	46—32	35
ასკ-„კ.“	30	12	11	7	33—27	35
„ზარია“	31	12	9	10	52—43	33
„ტავრ.“	31	11	9	11	57—50	31
„კუზბ.“	31	10	11	10	38—37	31
„დაუგ.“	30	11	6	13	41—46	28
„ისკრა“	30	11	5	14	33—28	27
„დნეპ.“	30	8	11	11	31—46	27
„გურია“	30	12	2	16	35—59	26
„ლოკ.“	31	9	8	14	40—38	26
„შინ.“	30	9	7	14	32—56	25
„პამ.“	30	8	9	13	29—42	25
ასკ ხ.	31	8	9	14	23—39	25
„ზვეზ.“	30	7	9	14	35—45	23
„ტექს.“	20	5	10	15	29—57	20
„დინ.“	31	4	11	16	24—45	19

საჩქაროდ ეძებენ მწვრთნელს

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში მინსკის „დინამომ“ 14 სექტემბერს უნდა მიიღოს შვეიცარიის ჩემპიონი — ციურიხის „გრასჰოპერსი“.

ამას წინათ მოულოდნელად გარდაიცვალა „გრასჰოპერსის“ უფროსი მწვრთნელი, ცნობილი დასავლეთგერმანელი სპეციალისტი ჰენეს ვაისვაილერი. ახალგაზრდობაში იგი გფრ-ის „კიოლნში“ თამაშობდა, ამ გუნდის მწვრთნელიც იყო, მერე გადაინაცვლა „ბორუსიაში“, რომელმაც მოიპოვა უეფა-ს თასი, წვრთნიდა ესპანეთის „ბარსელონას“ და ნიუ-იორკის „კოსმოსს“.

ციურიხის კლუბი ახლა საჩქაროდ ეძებს ახალ მწვრთნელს.

ურთიერთობის გარკვევა „სპარტაკთან“

გულშემატკივართა შორის მითქმა-მოთქმა ელვის სისწრაფით ვრცელდება. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის მახლობელ ტროლეიბუსის გაჩერებაზე ამ რამდენიმე დღის წინ ასეთი საოცარი „სინამდვილით“ გამაოგნეს: „სპარტაკმა“ და კიევის „დინამომ“ ერთმანეთთან მოილაპარაკეს და ფრედ ითამაშეს... ოლეგ რომანცევმა კარი გამოიჯახუნა და წავიდა „სპარტაკიდან“, „სოვეტსკი სპორტში“ წერდნენ... და ა. შ. გაზეთის ეს ნომერი ხელთ მქონდა და მსგავსი რამ იქ არ ეწერა. უბრალოდ, საფეხბურთო მიმოხილვის ავტორმა გაკვრით აღნიშნა „სპარტაკის“ ყოფილი კაპიტნის ოლეგ რომანცევის შესაძლებელ კონფლიქტზე კლუბის ხელმძღვანელობასთან და იქვე დაუმატა, რომ თვით იგი არსებითად არცაა საქმის კურსში. შევეცადე საწინააღმდეგო რამ მეთქვა სენსაციურ სიახლეთა ავტორისთვის, მაგრამ, გაგიგონიათ? ისეთი თვალებით შემომხედა — საცოდავი ვინმე ხარო...

და როგორ ვინანე, გასულ კვირას, 4 სექტემბერს, ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე ჩემს გვერდით რომ არ იყო ის „ყველაფრის მცოდნე“ გულშემატკივარი. ლუჟნიკში ღია კარის დღე იყო. გაიმართა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა შეხვედრა მაყურებლებთან. ფეხბურთელებმა ის-ის იყო დაამთავრეს ორსაათიანი ვარჯიში, მოვიდნენ და მწკრივად ჩამოსხდნენ სკამებზე მინდვრის ნაპირას, სახით ტრიბუნისკენ — უფროსი მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი, გუნდის უფროსი ნიკოლოზ სტაროსტინი, ფეხბურთელები ვლადიმერ სოჩნოვი, ლექსანდრე ბუბნოვი, იური გავრილოვი, სერგეი ბაზულევი. ბორის პოზდნიაკოვი, გენადი მოროზოვი, ედგარ გესი, სერგეი შვეცოვი.

— შეგიძლიათ ნებისმიერი კითხვით მიმართოთ სპარტაკელებს, — განუცხადა მაყურებლებს წამყვანმა. — თქვენთვის მიკროფონი დადგმულია ტრიბუნის ცენტრში.

და ერთ-ერთი პირველი შეკითხვა ძალზე ახლოს იდგა იმასთან, რაზეც ლაპარაკობდნენ გულშემატკივრები „დინამოს“ სტადიონთან.

— ვთხოვ პასუხი გამცეს ბესკოვმა. რატომ არ გამოუვიდათ სპარტაკელებს შემტევი თამაში კიეველებთან მატჩში გასულ ხუთშაბათს, 1 სექტემბერს?

კ. ი. ბესკოვი: არც ჩვენი ფეხბურთელები არიან კმაყოფილი ამ თამაშით. ბურთები ვერ გაიტანა ვერც ერთმა, ვერც მეორე მხარემ. კიეველებს თავდასხმაში თავიანთი საუკეთესო ძალები ჰყავდათ, ჩვენ კი ახლა დეფიციტს განვიცდით შეტევაში. დაშავებულია როდიონოვი, მას ფეხის მოტეხილობა აქვს. საერთოდ, აგვისტო ძალზე ძნელი გვქონდა. მონაწილეობა მივიღეთ ესპანეთის ტურნირში, ბევრი დრო წაიღო თვითმფრინავით მგზავრობამ. ამიტომ კიევის დინამოელებთან თამაშში ძირითად ამოცანად დავისახეთ მეტოქის შეტევათა ნეიტრალიზება. ახლა კალენდარში მცირე შესვენებას გამოვიყენებთ გუნდის შემტევი ძალის აღსადგენად.

— რატომ არ აიყვანეს ოლიმპიურ ნაკრებში სოჩნოვი, შემტევი სტილის ფეხბურთელი?

ნ. პ. სტაროსტინი: ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, შეუძლია მხოლოდ ოლიმპიური ნაკრების უფროს მწვრთნელს ედუარდ მალოფეევს. მაგრამ, ჩემი აზრით, გუნდს, ეტყობა, დასჭირდა მოთამაშე, რომელიც სოჩნოვზე უფრო მკაცრად, აქტიურად იბრძვის დაცვაში. ამიტომ იყო, რომ „სპარტაკს“ თხოვეს მილეშკინი, რომელიც მივავლინეთ ნაკრებში.

— გთხოვთ მოგვითხროთ ოლეგ რომანცევთან კონფლიქტზე.

ნ. პ. სტაროსტინი: კონფლიქტი არც ყოფილა. ოლეგ რომანცევი გუნდის შტატშია, მაგრამ სრული ძალით ვერ თამაშობს, ვინაიდან არ გამოჯანმრთელებულა ტრავმის შემდეგ (აქილევსის მყესის გაგლეჯა). ამჟამად ოლეგს კონსულტაციას უწევენ ქირურგები. საჭიროა რთული ოპერაცია, მას კი ჯერ არ გადაუწყვეტია ეს საკითხი. რომანცევი ახლა სერიოზული ცხოვრებისეული არჩევანის წინაშეა: იანვარში მას 30 წელი შეუსრულდება და ფიქრობს ოპერაცია გაიკეთოს და თამაში გააგრძელოს თუ მწვრთნელის სამუშაოზე გადავიდეს.

— „სპარტაკმა“ მონაწილეობა უნდა მიიღოს ევროპულ საკლუბო ტურნირში. ამასთან დაკავშირებით მოიწვევთ თუ არა სხვა კლუბებიდან ფეხბურთელებს გაძლიერების მიზნით?

ნ. პ. სტაროსტინი: დებულების თანახმად გუნდს უფლება აქვს მოიწვიოს მხოლოდ ორი ფეხბურთელი. „სპარტაკმა“ ეს ლიმიტი უკვე ამოწურა. გარდა ამისა, 15 აგვისტოს შემდეგ გუნდში მოსულ მოთამაშეს ამ სეზონში უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს თამაშებში.

დაახლოებით ერთი საათი მიმდინარეობდა ეს დიალოგი „გუნდი — ტრიბუნა“. გულახდილი შეკითხვა — გულახდილი პასუხი. იგრძნობოდა, რომ „სპარტაკის“ კოლექტივში ამხანაგობის, კეთილგანწყობილების, სიმართლის, ურთიერთგაგების ატმოსფეროა როგორც საფეხბურთო მინდორზე, ისე მის გარეთაც. ამ განწყობილებას მოვლა უნდა, იგი ყველამ თანაბრად უნდა შეინარჩუნოს და არ დამალოს რამე თანაგუნდელებისგან. ამას საგანგებოდ იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ შეხვედრის დროს ერთი კოვზი „კუპრიც“ დაიღვარა.

— შეკითხვა მაქვს ალექსანდრე ბუბნოვთან. თქვენ დიდხანს თამაშობდით მოსკოვის „დინამოში“, რამ გაიძულათ დაგეტოვებინათ „დინამო“ და გადასულიყავით „სპარტაკში?“

ა. ბუბნოვი: მე მომწონს საწვრთნელი პროცესი „სპარტაკში“, მისი კლიმატი. „დინამოდან“ ჩემი წასვლის მიზეზი იყო პირადი ურთიერთდამოკიდებულება კოლექტივთან, პრესაში კი არასწორად განმარტეს ეს ამბავი და ძალზე არასახარბიელო შეფასება მომცეს.

„სპარტაკის“ ახალი მოთამაშის ამ განცხადებას, თავის მხრივ, შეუძლია წარმოშვას ლეგენდა იმის შესახებ, რომ პრესაში აწყენინეს და ცილი დასწამეს ყოფილ დინამოელ ა. ბუბნოვს. ამიტომ კომენტარი აქ საჭიროა. გამოქვეყნებული იყო დინამოელ ფეხბურთელთა წერილი, თუ როგორ გარიყეს ალექსანდრე ბუბნოვი დინამოელთა კოლექტივიდან უდისციპლინობისა და წამგლეჯობისათვის. ახლა ა. ბუბნოვი თამაშობს „სპარტაკში“, რომელიც უყვართ მაყურებლებს, ეს კეთილსინდისიერი გუნდია. და ალექსანდრე ბუბნოვი ღრმად უნდა ჩაფიქრდეს იმაზე, რაც თავს გადახდა, გაამართლოს ნდობა, რათა ამ პოპულარული კლუბის მაისური ატაროს და არა ისე, რომ მიუშვას წყალი მითქმა-მოთქმის მოყვარულთა წისქვილზე.

ს. კოსტერინი.

რედაქციისაგან: ს. კოსტერინის ეს წერილი 6 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“. რახან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს ორგანო მნიშვნელოვან ამბად მიიჩნევს გულშემატკივართა შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან, რახან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ ოლიმპიურ სტადიონზე ეწყობა ამგვარი შეხვედრები, ცხადია, რომ ეს მეტად საინტერესო, სასარგებლო ღონისძიებაა. ყველა გულშემატკივარს, ვისაც კი აინტერესებს თავისი გუნდის მდგომარეობა, აინტერესებს ცალკეულ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა საქმეები, თუ გნებავთ, კონფლიქტებიც, შეუძლია მივიდეს სტადიონზე და საკუთრივ გაარკვიოს ყოველგვარი პრობლემა. რა თქმა უნდა, სპორტსმენისა და გულშემატკივრის ასეთი კონტაქტი ყველაზე უფრო ნაღდი და მართებულია. ფართო სპორტული საზოგადოებრიობა აქ საკუთრივ ერკვევა ყველა სასურველ ნიუანსში და არაა დარჩენილი სხვა „ვიღაცეების“ მონაყოლისა და შეთხზული ამბების იმედით. ვინ, სად, როდის, რა — ეს კითხვები მუდამჟამ აწუხებს ფეხბურთის მოყვარულს და ხშირად იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს პარკებსა და ბაღებში თუ სტადიონის მახლობლად თავშეყრის ადგილებზე მოსმენილი ყურმოკრული ამბებით და, ბევრ შემთხვევაში, ჭორითაც კი.

ვიმეორებთ: მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე კარგა ხანია დაწესებულია საფეხბურთო გუნდებისა და გულშემატკივართა ასეთი მეგობრული, კეთილმოსურნე გასაუბრებანი. ამ კონტაქტებს, როგორც ვხედავთ, მხარს უჭერს სოლიდური გაზეთი.

მაშ, საკითხავია, რატომ არ უნდა დავნერგოთ სპორტსმენთა და მაყურებელთა ასეთი შეხვედრები ჩვენშიც? განა ფეხბურთის მოყვარულებს ცოტა რამ აქვთ შესაკითხი თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის? თუ კი ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი პატრიარქი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნიკოლოზ პეტრეს ძე სტაროსტინი, გამობრძმედილი, ნაცადი ფეხბურთელი და მწვრთნელი კონსტანტინე ივანეს ძე ბესკოვი და პოპულარული ფეხბურთელები იური გავრილოვი, გენადი მოროზოვი, ედგარ გესი, სერგეი შვეცოვი, ვლადიმერ სოჩნოვი და სხვანი პასუხობენ გულშემატკივართა უშუალო შეკითხვებს, რატომ ჩვენც არ უნდა დავაწესოთ მსგავსი რამ ჩვენში? რა თქმა უნდა, საამისოდ უნდა გამოვნახოთ ხელსაყრელი დრო და მომენტი, შესაფერისი სიტუაცია, გამოვაცხადოთ დღე და საათი და ჩვენც, მოსკოველთა მსგავსად, მივხედოთ ჩვენს საქმეს.

საქართველოს პირველობა

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ზარზმა“ (ადიგენი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:2, „თრიალეთი“ (წალკა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „იბერია“ (ქარელი) 2:0, „არაგვი“ (ჟინვალი) — „მაშავერა“ (დმანისი) 1:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „აბული“ (ახალქალაქი) 0:1 „იმედი“ (რუსთავი)— „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:5, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:1.

დასავლეთი ზონა

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ნაპერწკალი“ (ოქუმი) 3:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „ბზიფი“ (გუდაუთა) 7:1, „ოდიში“ (ზედა ეწერი) — „კოლმეურნე“ (გულრიფში) 3:2, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „რაჭა“ (ამბროლაური) 5:0, „კოლმეურნე“ (დვაბზუ) — „ავიატორი“ (სოხუმი) 2:0, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „ნაპერწკალი“ (ოქუმი) 5:0, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „თოლია“ (ბათუმი) 1:3, „სენაკი“ (ცხაკაია) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 1:2, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 1:0.

ზონალური პირველობა

„არგოხი“ (ახმეტა) — „ქიზიყი“ (წნორი) 6:2, „ქიზიყი“ (წნორი) — „ჰერეთისკარი“ (ლაგოდეხი) 3:1, „მამული“ (დიდი ჭყონი) — „კოლმეურნე“ (კახათი) 2:3, „მამული“ (დიდი ჭყონი) — „ნარინჯი“ (ნატანები) 1:4, „ნარინჯი“ (ნატანები)— „ცივი“ (ცხაკაია) 20:1, „კოლმეურნე“ (კახათი) — „ნარინჯი“ (ნატანები) 7:0, „ცივი“ (ცხაკაია) — „მამული“ (დიდი ჭყონი) 2:2, „კოლმეურნე“ (ორპირი) — „საჩინო“ (ვანი) 3:0, ლაგოდეხის „ჰერეთისკარს“ გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ქისტაურთან“.

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არაგვი“	22	13	6	3	39—24	32
„ალგეთი“	20	14	3	3	41—21	31
„ჩიხურა“	21	14	3	4	52—38	31
„ვარძია“	22	11	4	7	35—21	26
„გარეჯი“	22	11	3	8	33—23	25
„იბერია“	21	8	9	4	34—19	25
„მაშავ.“	22	9	6	7	38—27	24
„მშენ.“	21	9	2	10	30—34	20
„განთ.“	20	8	2	10	29—40	18
„თრიალ.“	21	6	6	9	33—37	18
„ზარზმა“	21	6	6	9	29—36	18
„მესხეთი“	21	7	3	11	38—34	17
„იმედი“	21	5	5	11	35—44	15
„ბახტრ.“	22	5	5	12	18—38	15
„აბული“	22	3	8	11	23—42	14
„გარისი“	21	4	3	14	20—49	11

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გიგანტი“	23	17	5	1	45—20	39
„ოდიში“	22	16	3	3	67—24	35
„შახტ.“	23	13	6	4	41—23	32
„კოლხ.“	22	12	5	5	44—25	29
„ავტომ.“	22	12	3	7	39—30	27
პოლ. ინს.	22	10	5	7	38—29	25
„იმერ.“	22	10	5	7	34—33	25
„კოლმ.“ გ.	23	8	7	8	35—33	23
„კოლმ.“ დ.	22	8	6	8	42—31	22
„ნარუჯა“	22	8	6	8	41—33	22
„ნაპერ.“	23	8	4	11	39—47	20
„ხვამლი“	23	7	4	12	30—40	18
„რაჭა“	22	7	1	14	29—62	15
„ავიატორი“	23	4	7	12	35—58	15
„თოლია“	23	5	3	15	38—48	13
„სენაკი“	22	5	3	14	32—48	13
„ბზიფი“	23	3	3	17	23—68	9

III ზონა

„კოლმ.“ (ორ.)	6	5	1	0	15—4	11
„ელემ.“ (ზეს.)	6	2	2	2	3—9	6
„ჩხერ.“ (ორჯ.)	6	1	4	1	7—8	6
„საჩინო“ (ვანი)	6	0	1	5	2—6	1

IV ზონა

„კოლ.“ (კახ.)	8	7	0	1	38—12	14
„ნარინ.“ (ნატ.)	8	6	0	2	36—17	12
„მამული“ (დიდი ჭყონი)	8	3	1	4	17—17	7
„კოლ.“ (ნაგ.)	8	3	0	5	16—25	6
„ცივი“ (ცხ.)	8	0	1	7	12—48	1

ზონალური პირველობა გათამაშების საბოლოო ცხრილები

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქიზ.“ (წნ.)	10	7	1	2	26—17	15
„ჰერ.“ (ლაგ.)	10	6	1	3	18—12	13
„ვარდ.“ (ლაგ.)	10	6	1	3	20—16	13
„არგ.“ (ახ.)	10	4	1	5	19—17	9
„ქისტ.“ (ახ.)	10	4	0	6	14—19	8
„კოლმეურნე“ (ქვემო ქედი)	10	1	0	9	7—23	2

II ზონა

„მეშ.“ (აგ.)	6	4	1	1	11—6	9
„იორი“ (თიან.)	6	4	0	2	18—9	8
„სამც.“ (ბორ.)	6	2	1	3	9—12	5
„ავტ.“ (დმ.)	6	1	0	5	1—12	2

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკრანზე გადაშლილი „წიგნი ფიცისა"

ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

მათ შესახებ ბავშვობიდან ვკითხულობდით, ვსწავლობდით ისტორიის სახელმძღვანელოებით, ეკრანზეც ბევრჯერ გვინახავს. და აი ახალი შეხვედრა. შეხვედრა, 7 საათამდე რომ გრძელდება, მერე კი კიდევ მრავალ საათსა და დღე-ღამეს არ ამოდის გონებიდან, მოზღვავებულ ფიქრებს იწვევს, სევდასა და სიხარულს გაუფლებს და ბოლოს განუზომელ სიამაყეს გგვრის შენი მრავალტანჯული და სახელოვანი, კაცურ-კაცური წინაპრების მიმართ.

...უკვე რამდენიმე დღეა ჩვენი ქალაქის კინოთეატრებში უჩვენებენ კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალ, 5-სერიიან ისტორიულ კინოეპოპეას, მხატვრულ ფილმს „წიგნი ფიცისა". „რუსთაველის", „ამირანის", „ოქტომბრის", „საქართველოს", „თბილისის", „განთიადის" და სხვა კინოთეატრების დარბაზებში მაყურებელთა ტევა არ არის.

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ქართველ ხალხს, ასე ვაჟკაცურად რომ გაუვლია საუკუნოვანი ბედშავობა, მუდამ განსაკუთრებით აღელვებდა და მოსწონდა ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები — სქელი თუ თხელტანიანი წიგნია იგი, „სიტყვა წარსულიდან", ამეტყველებული თეატრალური სცენიდან თუ კინოეკრანიდან. ჭიაურელისეული „გიორგი სააკაძე" და „არსენა", სანიშვილისა და თუმანიშვილის „დავით გურამიშვილი", დოლიძისა და რონდელის „ჯურღაის ფარი", ესაკიას „ბაში-აჩუკი", რონდელის „მამლუქი", ჩხეიძის „მაია წყნეთელი", ტაბლიაშვილისა და აბაშიძის „დიდოსტატის მარჯვენა" და მრავალი სხვა. მაგრამ ესოდენ დიდი ისტორიული ტილო ქართველ კინომატოგრაფისტებს ჯერ არ შეუქმნიათ. გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს ფილმი-ეპოპეა გულგრილს არავის ტოვებს.

მაყურებელმა უკვე იხილა ფილმის პირველი და მეორე სერიები, ქართლის ცხოვრების მეთვრამეტე საუკუნის ამბებს რომ გადმოგვცემენ პირუთვნელად.

სქელტანიანი ფიცის წიგნის ავტორები (სცენარისტი ანზორ სალუქვაძე, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, ოპერატორი ლევან ნამგალაშვილი, მხატვარი კახი ხუციშვილი, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, პოპულარული მსახიობები თენგიზ არჩვაძე, ლია ელიავა, ზურაბ ქაფიანიძე, ლეო ფილფანი, მურმან ჯინორია, კახი კავსაძე, ქეთევან კიკნაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიორგი გეგეჭკორი, დოდო აბაშიძე, იური სოლომინი და სხვანი) საკმაოდ დიდძალი ისტორიული მასალის ფონზე, ფერადი ეკრანიდან მეტად დამაჯერებლად, დიდოსტატური კინოენით ამეტყველებენ ქართველი ხალხის ყველაზე ბედკრული, სისხლიანი წლების ჟრუანტელმომგვრელ ფურცლებს. გაუთავებელმა ჭირ-ვარამმა ბევრი სიცოცხლე წაიღო იბერთა მიწა-წყლიდან, მამათა, ძმათა, მეუღლეთა და დედათა თვალებს ზღვა ცრემლები აფრქვევინა, მაგრამ „ვაჟკაცთა გული რკინისა" მაინც ვერ გატეხა, ვერ დათრგუნა. აბჯროსანნი აღსდგნენ გატიალებულ-გაპარტახებული მიწა-წყლის დასაცავად და აღსადგენად. საქართველომ დიდი მეგობრობის ხიდი გასდო თავის ჩრდილოელ მეზობელთან — დიდ რუსეთთან. დიახ, „მოსკოვი უფრო ახლოა სტამბოლზე" — თქვა ქართველმა კაცმა და თვითონვე მოახდინა არჩევანი — სამუდამოდ დაუკავშირა ბედი ქართლისა რუსეთს.

კინოეპოპეამ თვალნათლივ გვიჩვენა ქართველთა მოდგმის შეუდრეკელი, გაუტეხელი ხასიათი, მისი ძლიერი სული და სხეული. მრავალრიცხოვან ოსმალ-ლეკებსა და ყიზილბაშებს, ვინ იცის კიდევ რა ჯურის დამპყრობლებს, ჩვენმა წინაპრებმა მახვილი და აბჯარი დაუპირისპირეს. ქართველი აბჯროსნები და წითელმუნდირიანი რუსი ჯარისკაცები შეიყრებიან ერთი დიდი მდინარის ორმხრივ ნაპირთან და დაძმობილ-დამოყვარებულნი ერთად გადიან მშფოთვარე და გაშმაგებულ წყალს. ასე სიმბოლურად არის ნაჩვენები ფილმში დიადი მეგობრობის სათავეების სურათი, ბოლოს რომ ეს ორი ხალხი გეორგიევსკის ახლოს მდებარე კიდევ ერთ მდინარეზე — პოდკუმოკზე მოიყვანა საუკუნოვანი მანიფესტის დასადებად.

სურათში მრავალია სცენა, რომელშიც კარგად გამოკვეთილა ქართველი კაცის მუხლისა და მარჯვენის ძალა, სიჩაუქე. მეომრები გმირულად იბრძვიან მომხდურ მტრებთან — ოსტატურად, შემართებით ფლობენ საჭიდაო სარმას და პირბასრ ხმალს, ფეხმარდი ცხენებით ედევნებიან დუშმანს, ზუსტად ისვრიან მიზანში. აგერ უბრალო თუში გლეხი პაპაი (მისი სახე დიდებულად განასახიერა ზურაბ ქაფიანიძემ), აი ტაძარში ქარივით შემოჭრილი ყურშიტი, აი ფილმის სხვა გმირებიც — ქართველი ადამიანები, მიწის შვილები, მშვიდობიან დღეებს რომ ჭედდნენ შთამომავალთათვის საუკუნეთა მიღმა, მერე კი 200 წლის წინათ, დააგვირგვინეს ისინი დიდი მეგობრობით, გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით რომაა ცნობილი პირუთვნელ ისტორიაში.

ო. ნოზაძე.

* * *

სურათებზე: კადრები ფილმიდან „წიგნი ფიცისა".

სარედაქციო ფოსტა

დავეხმაროთ სპორტულ ბიბლიოთეკას!

„ლელოში" რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია, რომ თბილისში, გამარჯვების პარკში გახსნილია სპორტული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ცნობილია, რომ ამ ტიპის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა მანამდე მხოლოდ მინსკში არსებობდა.

ჩვენი ბიბლიოთეკა უმთავრესად სპორტული ლიტერატურით უნდა იყოს მომარაგებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. ბიბლიოთეკაში ამჟამად დაცულია დაახლოებით 5000-მდე წიგნი, რომელთაგან სპორტულია ნახევარზე ნაკლები — 2000-მდე. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტერატურით სარგებლობა მკითხველთათვის ჯერჯერობით მიუწვდომელია, რადგანაც ბიბლიოთეკის შენობის ფანჯრებზე საცავები არ არის დაყენებული და წიგნები შეკრული ფუთებით დევს.

ბიბლიოთეკის ფონდები დამოკიდებულია ა. ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაზე, რომელიც ნაკლებად ამარაგებს მას სპორტული წიგნებით და უმეტესად სხვადასხვა სახის ლიტერატურის მიწოდებით კმაყოფილდება. ბიბლიოთეკა განიცდის მუშა-მოსამსახურეთა ნაკლებობასაც.

დასასრულს მოვუწოდებ სპორტის ყველა მოყვარულს: დავეხმაროთ ბიბლიოთეკას სპორტული ლიტერატურით! პირადად მე უკვე რამდენიმე ცალი სპორტული წიგნი ვუსახსოვრე მას.

რევაზ შენგელია.
სამთო ინჟინერი.

სხვადასხვა მერიდიანზე

53 წლის მარათონელი

53 წლის ბერგ კლაუსენი, მარათონელი მორბენალი, დანიაში მეტად პოპულარული პიროვნება გახლავთ. ამას წინათ მან ახალი რეკორდი დაამყარა — 580 კილომეტრი გაირბინა 112 საათსა და 40 წუთში. ვეტერანი ქ. ესბერგის მარათონში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, ეს ქალაქი კი მისი სახლიდან 155 კილომეტრზე მდებარეობს. კლაუსენი ტრანსპორტზე არასოდეს ჯდება. მან ესბერგში შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე მიირბინა და ჟურნალისტებს განუცხადა:

— ასეთი მანძილის გარბენის შემდეგ შეიძლება ითქვას, შესანიშნავად ვარ მომზადებული შეჯიბრებისთვის.

მარადონა აჯანყებით იმუქრება

მარადონამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „ბარსელონას" მფლობელი მულტიმილიონერი ნუნიესი ფეხბურთელებს საერთოდ არაფრად აგდებს, ამცირებს მათ, ეპყრობა, როგორც ნამდვილ მონებს.

თუ ასე გაგრძელდა, თქვა მარადონამ, მაშინ იგი „ნამდვილ აჯანყებას მოაწყობს, რაც მონათმფლობელის კატასტროფით დამთავრდება".

მეტოქის შესაშინებლად

„ბლიუმენტალის საბრძოლო მარტორქები", „ოგასტის გააფთრებული ქორები", „ჰამილტონის დაუნდობელი გორილები", „პორტლენდის კაციჭამიები"...

ძალიან ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ლაპარაკია გუნდებზე, რომლებიც თამაშობენ აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს პირველობაზე... მაგიდის ჩოგბურთში.

მოხეტიალე ორგკომიტეტი

ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მესამედ გამოიცვალა შტაბ-ბინა. ახლა იგი კალიფორნიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსიდან კულვერ-სიტის აეროპორტში გადავიდა. ამის მიზეზი გახლავთ მისი შტატების სისტემატური ზრდა. ახლა აქ 1200-ზე მეტი კაცი მუშაობს.

ფულის ფლანგვა შოტლანდიურად

„გლაზგო რეინჯერსის" ფეხბურთელი დევიდ კუპერი შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ამხანაგური სასამართლოს წინაშე წარსდგა. მას შემდეგი ბრალდება წაუყენეს: როცა „გლაზგო რეინჯერსისა" და „ფალკირკის" მატჩის მაყურებლებმა კუპერს ხურდა ფულის გადაყრა დაუწყეს, იგი ამ ფულს კრეფდა და ტრიბუნებს უკანვე ესროდა. ამასთან დაკავშირებით ლონდონის „დეილი მირორი" წერდა: „ეს ისტორიაში პირველი შემთხვევა გახლავთ, როცა შოტლანდიელს ფულის ფლანგვას აბრალებენ".

●

უკანასკნელ ხანს წყალბურთი იზიდავს არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც. უკვე რამდენიმე წელიწადია სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშობენ სხვადასხვა ქვეყნების წყალბურთელი ქალები. ამ ცოტა ხნის წინ ქალთა გუნდები შეიქმნა საბჭოთა კავშირშიც.

* * *

სურათზე: თამაშობენ წყალბურთელი ქალები.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 37-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 4 (კროვი), 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 37 (საავტომობილო სპორტი), 39 (მთამსვლელობა), 47 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 17 (ციგურაობა), 27 (შვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას კროვის (1970-73 წლებში დაბადებულნი), ტყვიის სროლის (1970-72 წწ.), მაგიდის ჩოგბურთის (1973-75 წწ.) და რეგბის განყოფილებაში 1983-84 სასწავლო წლისთვის. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სკოლის დირექციას მისამართით თბილისი, ბელიაშვილის ქ. № 6, დიღმის სპორტული კომპლექსი. ტელ: 51-87-49 და 51-83-95.

„განთიადის" რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა

აცხადებს

მიღებას კლასიკურ, თავისუფალ ჭიდაობაში და ძიუდოს ჯგუფებში.

ჯგუფებში მიიღებიან 10-13 წლის ახალი ბიჭები.

მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 95. ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა. ტელ. 95-63-78.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07768